
DECOMIX

ARCHITECTURAL MATERIALS

შავი პარასკევის კატალოგი

BLACK

BEFORE FRIDAY



5810 ML950 IB989 ON095 SO423 PE814

დაზოგეთ

30%

შავი ფერის ზედაპირების მოყვარულთათვის — განსაკუთრებული შეთავაზება

შავი კვარცი და აკრილის ქვა · აქცია მოქმედებს 27 ნოემბრამდე

DECOMIX ARCHITECTURAL MATERIALS | თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. 185 | +995 598 166 155 | WWW.DECOMIX.GE



BLACK BEFORE FRIDAY

არ ველოდებით შავ პარასკევს — დაზოგეთ დღესვე

ექვს შავ დეკორზე უკვე მოქმედებს 30%-იანი ფასდაკლება. აქცია მოიცავს კვარცისა და აკრილის ქვის პრიალა და გლუვ ზედაპირებს. შეძენილი მასალა შეგიძლიათ მაშინვე გაიტანოთ, ჩვენს საწყობში 3 თვით უფასოდ დატოვოთ ან მისგან ნაკეთობის დამზადება შეუკვეთოთ.

როგორ მუშაობს · HOW IT WORKS

01

შეიძინეთ 30%-იანი ფასდაკლებით

შავი კვარცი და აკრილის ქვა — 27 ნოემბრამდე. მასალა შეგიძლიათ მაშინვე გაიტანოთ, შეუკვეთოთ ნაკეთობის დამზადება ან 3 თვით უფასოდ დატოვოთ ჩვენს საწყობში.

02

ზუსტი რაოდენობა ჯერ არ იცით?

თუ სამზარეულოს ზედაპირს ან ქვის სხვა ნაკეთობას გეგმავთ, მაგრამ პროექტი ჯერ დასრულებული არ არის, შეგიძლიათ მასალის სავარაუდო რაოდენობა ახლავე შეიძინოთ. საბოლოო რაოდენობას მოგვიანებით დავაზუსტებთ.

03

3 თვე — ფასი უცვლელია

მასალა არ გეყოთ? დაამატეთ აქციის ფასით. პროექტს ნაკლები დასჭირდა? დარჩენილი თანხა ჩაითვლება დამზადების მომსახურებაში ან დაგიბრუნდებათ — ჩვენი სტანდარტის მიხედვით.

04

გსურთ სხვა ფერი?

შავის ნაცვლად შეგიძლიათ შეარჩიოთ სხვა მოდელი ჩვენი კატალოგიდან — 30%-იანი ფასდაკლების პირობებს მენეჯერთან ინდივიდუალურად შეათანხმებთ.

ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ · DIRECT IMPORT

მსოფლიო ბრენდები — პირდაპირი იმპორტით

DECOMIX — კვარცისა და აკრილის ქვის იმპორტიორია. ვთანამშრომლობთ ბრენდებთან, რომელთა პროდუქცია წარმოდგენილია მსოფლიოს წამყვან ბაზრებზე. მასალას ვინახავთ საკუთარ საწყობში და ვამუშავებთ საკუთარ საამქროში — ფილიდან დასრულებულ ნაკეთობამდე.

CAESARSTONE®	RADIANZ®	STARON®
კვარცი	კვარცი	აკრილის ქვა
ისრაელი	LOTTE · სამხრეთ კორეა	LOTTE · სამხრეთ კორეა

STARON®-ის ექსკლუზიური იმპორტიორი საქართველოში



93% ბუნებრივი კვარცი

კვარცის ზედაპირი 93% ბუნებრივი კვარცის მინერალისგან შედგება — ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე მყარი მინერალისგან. შედეგად ვიღებთ არაფოროვან, მედეგ და ჰიგიენურ ზედაპირს, რომელიც გაჟღენთვას არ საჭიროებს.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ · SPECIFICATIONS

ᲙᲕᲐᲠᲪᲘ · QUARTZ

შემადგენლობა	93% ბუნებრივი კვარცი
სიმყარე (მოოსის შკალა)	7
წყლის შთანთქმა	≤ 0,05% · EN 14617-1
ღუნვაზე სიმტკიცე	43–80 MPa · EN 14617-2
კუმშვაზე სიმტკიცე	157–243 MPa
ზედაპირი	არაფოროვანი, გაჟღენთვის გარეშე

NSF · GREENGUARD GOLD · CLASS A

ᲐᲙᲠᲘᲚᲘᲡ ᲥᲕᲐ · STARON®

შემადგენლობა	მინერალი + აკრილის ფისი
სიმკვრივე	1,79 გ/სმ³
სიმაგრე	92 · Rockwell M
სითბომედეგობა	130 °C-მდე
შეერთება	უნაკერო, შეუმჩნეველი
ზედაპირი	არაფოროვანი, აღდგენადი

NSF · NKBA · IAQ · HB

— მონაცემები — მწარმოებლების ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტაციით; შეიძლება განსხვავდებოდეს დეკორისა და სისქის მიხედვით. —

CAESARSTONE® · QUARTZ

დაზოგეთ 30%



BLACK TEMPAL · 5810 · 3340 × 1620 მმ

BLACK TEMPAL

CAESARSTONE® · 5810

ღრმა შავი მქრქალი ზედაპირი მუქი ნაცრისფერი ნახატით, რომელიც ბუნებრივი ქვის სიღრმეს გადმოსცემს. მკაცრი და ძლიერი ხასიათი.

ტიპი · TYPE	კვარცი
ზედაპირი · FINISH	გლუვი
ფორმატი · FORMAT	3340 × 1620 მმ
აქცია · OFFER	30% · 27.11.2026-მდე
ფასი · PRICE / ფილა	~~7 501 ₾~~ 5 251 ₾

ნაკეთობები · APPLICATIONS



სამზარეულოს კუნძული · KITCHEN ISLAND



სამზარეულო · KITCHEN

— ფოტოზე გამოსახული ქვის ფერი და ტექსტურა შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს რეალური მასალისგან · ფოტოები საილუსტრაციოა —

~~7 501 ₾~~

5 251 ₾

ფასი 1 ფილაზე

შეიძინეთ დღეს — ფასს 3 თვით შეგინარჩუნებთ

იყიდება: მთლიანი ფილა · ½ ფილა (სიგრძეზე) · ¼ ფილა

აქცია
27 ნოემბრამდე

RADIANZ® · QUARTZ

დაზოგეთ 30%



MARQUINA LAVAGNA · ML950 · 3100 × 1520 მმ


MARQUINA LAVAGNA

RADIANZ® · ML950

ღრმა შავი ფონი მკვეთრი თეთრი ძარღვებით — ნერო მარკინას კლასიკური ინტერპრეტაცია. დრამატული კონტრასტი და გამორჩეული ფუფუნება.

ტიპი · TYPE	კვარცი
ზედაპირი · FINISH	პრიალა
ფორმატი · FORMAT	3100 × 1520 მმ
აქცია · OFFER	30% · 27.11.2026-მდე
ფასი · PRICE / ფილა	~~4 324 ₾~~ 3 027 ₾

ნაკეთობები · APPLICATIONS



სამზარეულოს კუნძული · KITCHEN ISLAND



სააბაზანოს ზედაპირი · VANITY TOP

— ფოტოზე გამოსახული ქვის ფერი და ტექსტურა შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს რეალური მასალისგან · ფოტოები საილუსტრაციოა —

~~4 324 ₾~~

3 027 ₾

ფასი 1 ფილაზე

შეიძინეთ დღეს — ფასს 3 თვით შეგინარჩუნებთ

იყიდება: მთლიანი ფილა · ½ ფილა (სიგრძეზე) · ¼ ფილა

აქცია
27 ნოემბრამდე

RADIANZ® · QUARTZ

დაზოგეთ 30%



IMPALA BLACK · IB989 · 3200 × 1600 მმ

IMPALA BLACK

RADIANZ® · IB989

ღრმა შავი ფონი დახვეწილი, ქსელისებრი ღია ძარღვებით — მარმარილოს ესთეტიკა კვარცის გამძლეობით.

ტიპი · TYPE	კვარცი
ზედაპირი · FINISH	გლუვი · პრიალა
ფორმატი · FORMAT	3200 × 1600 მმ
აქცია · OFFER	30% · 27.11.2026-მდე
ფასი · PRICE / ფილა	~~5 242 ₾~~ 3 669 ₾

ნაკეთობები · APPLICATIONS



სამზარეულოს ზედაპირი · KITCHEN COUNTERTOP



კიდის დეტალი · EDGE DETAIL

— ფოტოზე გამოსახული ქვის ფერი და ტექსტურა შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს რეალური მასალისგან · ფოტოები საილუსტრაციოა —

~~5 242 ₾~~

3 669 ₾

ფასი 1 ფილაზე

შეიძინეთ დღეს — ფასს 3 თვით შეგინარჩუნებთ

იყიდება: მთლიანი ფილა · ½ ფილა (სიგრძეზე) · ¼ ფილა

აქცია
27 ნოემბრამდე

STARON® · SOLID SURFACE

დაზოგეთ 30%



SUPER SOLID ONYX · ON095 · 3680 × 760 მმ · 12 მმ

SUPER SOLID ONYX

STARON® · ON095

ღრმა, ხავერდოვანი შავი ერთგვაროვანი ფერი.

ტიპი · TYPE	აკრილის ქვა
ზედაპირი · FINISH	გლუვი · პრიალა
ფორმატი · FORMAT	3680 × 760 მმ · 12 მმ
აქცია · OFFER	30% · 27.11.2026-მდე
ფასი · PRICE / ფილა	~~1 412 ₾~~ 988 ₾

ნაკეთობები · APPLICATIONS



სამზარეულო · KITCHEN



ჩაშენებული ნიჟარა · INTEGRATED SINK

— ფოტოზე გამოსახული ქვის ფერი და ტექსტურა შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს რეალური მასალისგან · ფოტოები საილუსტრაციოა —

~~1412 ₾~~

988 ₾

ფასი 1 ფილაზე

შეიძინეთ დღეს — ფასს 3 თვით შეგინარჩუნებთ

იყიდება: მთლიანი ფილა · ½ ფილა

აქცია
27 ნოემბრამდე

STARON® · SOLID SURFACE

დაზოგეთ 30%



SANDED ONYX · SO423 · 3680 × 760 მმ · 12 მმ

SANDED ONYX

STARON® · SO423

შავი ფონი თეთრი, ვარსკვლავისებრი წინწკლებით.

ტიპი · TYPE	აკრილის ქვა
ზედაპირი · FINISH	გლუვი · პრიალა
ფორმატი · FORMAT	3680 × 760 მმ · 12 მმ
აქცია · OFFER	30% · 27.11.2026-მდე
ფასი · PRICE / ფილა	~~1 492 ₾~~ 1 044 ₾

ნაკეთობები · APPLICATIONS



სამზარეულოს ზედაპირი · KITCHEN COUNTERTOP



სამზარეულო · KITCHEN

— ფოტოზე გამოსახული ქვის ფერი და ტექსტურა შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს რეალური მასალისგან · ფოტოები საილუსტრაციოა —

~~1 492 ₾~~

1 044 ₾

ფასი 1 ფილაზე


შეიძინეთ დღეს — ფასს 3 თვით შეგინარჩუნებთ

იყიდება: მთლიანი ფილა · ½ ფილა

აქცია
27 ნოემბრამდე

STARON® · SOLID SURFACE

დაზოგეთ 30%



PEBBLE EBONY · PE814 · 3680 × 760 მმ · 12 მმ

PEBBLE EBONY

STARON® · PE814

შავი ფონი დიდი ნაცრისფერი და თეთრი კენჭისებრი ჩანართებით.

ტიპი · TYPE	აკრილის ქვა
ზედაპირი · FINISH	გლუვი · პრიალა
ფორმატი · FORMAT	3680 × 760 მმ · 12 მმ
აქცია · OFFER	30% · 27.11.2026-მდე
ფასი · PRICE / ფილა	~~1 698 ₾~~ 1 189 ₾

ნაკეთობები · APPLICATIONS



სამზარეულოს კუნძული · KITCHEN ISLAND



სამზარეულოს ზედაპირი · KITCHEN COUNTERTOP

— ფოტოზე გამოსახული ქვის ფერი და ტექსტურა შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს რეალური მასალისგან · ფოტოები საილუსტრაციოა —

~~1698 ₾~~

1189 ₾

ფასი 1 ფილაზე

შეიძინეთ დღეს — ფასს 3 თვით შეგინარჩუნებთ

იყიდება: მთლიანი ფილა · ½ ფილა

აქცია
27 ნოემბრამდე

ნაკეთობები · MADE TO MEASURE

ქვა — თქვენს ზუსტ ზომებზე




შეძენილი ქვისგან ნაკეთობებს ჩვენს საამქროში ვამზადებთ: სამზარეულოს ზედაპირებსა და კუნძულებს, ჩაშენებული ნიჟარით აღჭურვილ სააბაზანოს ზედაპირებს, რესეფშენებს, ბარის დახლებსა და კედლის მოსაპირკეთებელ ელემენტებს. ზუსტი ზომების აღება, სუფთა კიდეები და უნაკერო შეერთება თითოეულ დეტალს დასრულებულ იერს სძენს.

3

თვე უფასო შენახვა



რესეფშენი · RECEPTION



სამზარეულო · KITCHEN



ნიჟარა · SINK

შეძენილ მასალას 3 თვით უფასოდ შევინახავთ — ნაკეთობას კი მაშინ დავამზადებთ, როცა მზად იქნებით.

DECOMIX · MADE TO MEASURE

აქციის პირობები — „BLACK BEFORE FRIDAY · დაზოგეთ 30%“

1. ორგანიზატორი

შპს „დეკომიქს“ (სავაჭრო ნიშანი DECOMIX), საიდენტიფიკაციო კოდი 406340669, მისამართი: თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. 185, ტელ.: +995 598 166 155, decomix.ge (შემდგომში — „გამყიდველი“).

2. აქციის ვადა და საგანი

2.1. აქცია „BLACK BEFORE FRIDAY“ მოქმედებს 2026 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით განხორციელებულ შესყიდვებზე.

2.2. 30%-იანი ფასდაკლება ვრცელდება შემდეგ მასალებზე: Black Tempal 5810 (Caesarstone®), Marquina Lavagna ML950 (Radianz®), Impala Black IB989 (Radianz®) — კვარცის აგლომერატი; Super Solid Onyx ON095, Sanded Onyx SO423, Pebble Ebony PE814 (STARON®) — აკრილის ქვა.

2.3. აქციის პერიოდში მყიდველს უფლება აქვს, შავი ფერის ნაცვლად შეარჩიოს სხვა მოდელი გამყიდველის მოქმედი კატალოგიდან. ასეთ შემთხვევაში 30%-იანი ფასდაკლება ვრცელდება მხოლოდ გამყიდველის წერილობითი თანხმობით, რაც ფიქსირდება შეძენის შეთანხმებაში. თანხმობის გაცემისას აღნიშნულ მასალაზე სრულად ვრცელდება წინამდებარე პირობები.

2.4. ფასდაკლება გამოითვლება გამყიდველის მოქმედი საცალო ფასიდან, ვრცელდება მხოლოდ მასალის ღირებულებაზე და არ ჯამდება სხვა მოქმედ აქციებთან ან ფასდაკლებებთან. დამზადების, ტრანსპორტირებისა და სამონტაჟო მომსახურება ფასდაკლებაში არ შედის, თუ სხვა რამ პირდაპირ არ არის შეთანხმებული წერილობით.

2.5. ფასები მითითებულია ლარში, დღგ-ის ჩათვლით. აქცია მოქმედებს მასალის საწყობში არსებული მარაგის ამოწურვამდე.

3. შეძენა, გაყიდვის სტანდარტი და შენახვა

3.1. მყიდველს შეუძლია შეიძინოს მასალის სავარაუდო (წინასწარი) რაოდენობა, რომლის სრულ ღირებულებასაც იხდის შეძენის დღეს.

3.2. შეძენის შემდეგ მყიდველი უფლებამოსილია: ა) დაუყოვნებლივ გაიტანოს მასალა; ბ) შეუკვეთოს მისგან ნაკეთობის დამზადება; გ) დატოვოს მასალა გამყიდველის საწყობში უსასყიდლოდ, შეძენიდან 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში. საწყობში დატოვებული მასალა იჯავშნება მყიდველის სახელზე.

3.3. მასალის რეალიზაცია ხორციელდება გამყიდველის სტანდარტული ერთეულებით: კვარცის აგლომერატი — მთლიანი ფილა, ნახევარი ფილა (სიგრძეზე) ან ფილის მეოთხედი; აკრილის ქვა — მთლიანი ფილა ან ნახევარი ფილა.

4. მყიდველის უფლებები 3 თვის განმავლობაში

შეძენის თარიღიდან 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში მყიდველს უფლება აქვს:

4.1. დამატებით შეიძინოს იგივე მასალა სააქციო ფასით (30%-იანი ფასდაკლებით), გამყიდველის საწყობში მარაგის არსებობის შემთხვევაში;

4.2. ზედმეტად შეძენილი (გამოუყენებელი) მასალის ღირებულება სრულად ჩაითვალოს გამყიდველთან შეკვეთილი ნაკეთობის დამზადების მომსახურების საფასურში;

4.3. მოითხოვოს გამოუყენებელი მასალის ღირებულების დაბრუნება. ამ შემთხვევაში დაკავდება საკომისიო — დასაბრუნებელი მასალის ღირებულების 15% (მყიდველს უბრუნდება ამ ღირებულების 85%); იხ. ასევე მე-5 და მე-6 პუნქტები.

5. დაბრუნებისა და ჩათვლის პირობები

5.1. დაბრუნება ან მომსახურებაში ჩათვლა ვრცელდება მხოლოდ გაუჭრელ, დაუმუშავებელ და დაუზიანებელ მასალაზე, 3.3 პუნქტით განსაზღვრული სტანდარტული ერთეულებით (მთლიანი ფილა, ნახევარი ან მეოთხედი — მასალის ტიპის შესაბამისად), რომელიც ინახება გამყიდველის საწყობში ან დაბრუნებულია პირვანდელი სახით.

5.2. მოთხოვნა წარედგინება წერილობით (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით) 3-თვიანი ვადის ამოწურვამდე. თანხა, 15%-იანი საკომისიოს გამოქვითვით, ბრუნდება მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით მყიდველის საბანკო ანგარიშზე ან გადახდის თავდაპირველი მეთოდით.

5.3. 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებები წყდება, გადახდილი თანხა დაბრუნებას აღარ ექვემდებარება, ხოლო მასალის დამატებითი შეძენა შესაძლებელია მხოლოდ შესყიდვის მომენტში მოქმედი სტანდარტული ფასით.

6. შენახვა 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ

6.1. უფასო შენახვის ვადის ამოწურვისთანავე მყიდველი ვალდებულია აირჩიოს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) საკუთარი ხარჯით სრულად გაიტანოს მასალა გამყიდველის საწყობიდან;

ბ) გამყიდველს მისცეს ნაკეთობის დამზადების საბოლოო შეკვეთა და გადაიხადოს დამზადების ავანსი;

გ) გააგრძელოს შენახვა ფასიან საფუძველზე — დღეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით, დღგ-ის ჩათვლით.

6.2. თუ ვადის ამოწურვისას მასალა გატანილი არ არის და დამზადების ავანსი არ არის გადახდილი, შენახვის საფასურის დარიცხვა იწყება ავტომატურად, ვადის ამოწურვის მომდევნო კალენდარული დღიდან.

6.3. თუ დარიცხული შენახვის საფასური არ იქნება გადახდილი დარიცხვიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, გამყიდველი უფლებამოსილია, მყიდველის მიერ შეთანხმებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან ელ-ფოსტაზე წინასწარი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, მასალა გაიტანოს საწყობის ტერიტორიის გარეთ. ამ შემთხვევაში გამყიდველი სრულად თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან მასალის ხარისხობრივ მდგომარეობაზე, დაზიანებასა თუ შესაძლო დაკარგვაზე.

6.4. დაგროვილი და გადაუხდელი შენახვის საფასური გამყიდველის მიერ შეიძლება გაიქვითოს მყიდველის მიერ გადახდილი ან მისთვის დასაბრუნებელი ნებისმიერი თანხიდან.

7. ფერი და საწარმოო პარტია

ქვის ფერი, ტონალობა და ძარღვების ნახატი შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს სხვადასხვა საწარმოო პარტიაში, აგრეთვე შოურუმის ნიმუშსა და რეალურ ფილას შორის. მოგვიანებით დამატებით შეძენილი მასალა შეიძლება ეკუთვნოდეს სხვა საწარმოო პარტიას — აღნიშნული არ ითვლება წუნად (დეფექტად). ზედაპირის ერთიანი ტონალობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პროექტისთვის საჭირო სრული მოცულობის ერთდროულად შეძენა.

8. დამზადება

ნაკეთობის დამზადების ზუსტი ღირებულება, ვადები და ტექნიკური დეტალები განისაზღვრება ობიექტზე ზომების აღების (აზომვის) შემდეგ, მხარეთა შორის ცალკე შეთანხმების გაფორმებით.

9. სხვა პირობები

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) გარემოებათა არსებობისას.

9.2. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში — საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

9.3. მყიდველი აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა) დამუშავდეს მხოლოდ ამ შეთანხმების აღსრულების, ანგარიშსწორებისა და კომუნიკაციის მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა — თითო თითოეული მხარისთვის.

შეძენის შეთანხმება

BLACK BEFORE FRIDAY · დაზოგეთ 30%

№ _____ თარიღი: ____ / ____ / 2026

მყიდველი

სახელი _____ გვარი _____

პირადი ნომერი _____ ტელეფონი _____ ელ-ფოსტა _____

მისამართი (არასავალდებულო) _____

შერჩეული მასალა

მასალა / კოდი	ზედაპირი	რაოდენობა (ფილა / ½ / ¼)	ფასი (₾)	ფასდაკლება	თანხა (₾)
				30%	
				30%	
				30%	
				30%	
				30%	
				სულ გადასახდელი (₾)	

გადახდილი თანხა (₾) _____ გადახდის მეთოდი _____ 3-თვიანი ვადის ამოწურვის თარიღი _____

შეძენის შემდეგ: ☐ გატანა ☐ დამზადების შეკვეთა ☐ შენახვა საწყობში

შენიშვნა (მათ შორის, სხვა მოდელზე 30%-იანი ფასდაკლების შეთანხმება, პ. 2.3) _____

დადასტურება

☐ გავეცანი აქციის პირობებს, ვეთანხმები მათ და მივიღე შეთანხმების ერთი ეგზემპლარი.

☐ ინფორმირებული ვარ, რომ 3 თვის შემდეგ შენახვა ფასიანია — 30 ₾ დღეში (პ. 6), ხოლო თანხის დაბრუნებისას იქვითება 15% (პ. 4.3).

☐ ინფორმირებული ვარ, რომ მოგვიანებით დამატებით შეძენილი მასალა შესაძლოა იყოს სხვა საწარმოო პარტიიდან (პ. 7).

☐ თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წინამდებარე პირობების 9.3 პუნქტის შესაბამისად.

☐ თანახმა ვარ მივიღო DECOMIX-ის სიახლეები და შეთავაზებები (არასავალდებულო).

მყიდველის ხელმოწერა _____ გამყიდველის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ხელმოწერა) _____

ბეჭედი

DECOMIX

ARCHITECTURAL MATERIALS

BLACK BEFORE FRIDAY · დაზოგეთ 30% · 27 ნოემბრამდე

შავი ფერის ზედაპირების მოყვარულთათვის
განსაკუთრებული შეთავაზება

ქვისთვის შესაფერის ავეჯის ფერს ერთად შევარჩევთ

თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. 185

+995 598 166 155

WWW.DECOMIX.GE